ბრძანება:**ბ12. 12232363**

თარიღი:**24/08/2023**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119- ე მუხლის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“-ა და „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 აგვისტოს № გ-13.132323511 განკარგულების შესაბამისად

ვბრძანებ:

1.გამოცხადდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ახალციხეში, პაატა ნათენაძის ქ. №20-ში, (ს.კ. 62.09.58.539) მდებარე 8573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 12 კვ.მ. ფართის განკარგვასთან დაკავშირებით;
2.ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახალციხეში, პაატა ნათენაძის ქ. №20-ში, (ს.კ. 62.09.58.539) მდებარე 8573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 12 კვ.მ. ფართის საწყისი წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 720 (შვიდას ოცი) ლარის ოდენობით, შპს ,,საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ს 2023 წლის 12 აგვისტოს N367 აუდიტორული დასკვნის თანახმად;
3.უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია „ბე“ განისაზღვროს საწყისი წლიური საიჯარო თანხის 50%-ის ოდენობით;
4.ბიჯი განისაზღვროს 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით;
5.განისაზღვროს პირობიანი ელექტრონული აუქციონის დაწყებისა და დასრულების თარიღი და დრო: 2023 წლის 24 აგვისტოს 15:00 საათიდან - 2023 წლის 31 აგვისტოს 16:00 საათამდე;
6.პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ჩაეთვალოს სარგებლობის ხელშეკრულების ვადის ბოლო პერიოდში გადასახდელი ქირის ოდენობაში;

7.პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორთან გაფორმდეს სარგებლობის ხელშეკრულება;
8.აუქციონში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული სარგებლობის ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს 2 წლის ვადით;
9.თანხა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:
10.მიმღების დასახელება: „ხაზინის ერთიანი ანგარიში“
მიმღები ბანკი: „სახელმწიფო ხაზინა“
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300883047
11.პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, მისთვის გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისას დაიცვას აუქციონის ან/და სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები და სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
12.აუქციონში გამარჯვებულმა პირმა სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება უნდა გამოიყენოს საბავშვო ბატუტის განსათავსებლად;
13.უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკურმა სამსახურმა წინამდებარე ბრძანების განთავსება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ადმინისტრირებად ვებ-გვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას;
14.უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვის შესახებ ინფორმაციის განთავსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე www.akhaltsikhe.gov.ge;
15.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
16.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

ილია ზარდიაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-ახალციხის
მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი